სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგება

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2012 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა..... 4

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 7

ანგარიშგება სააქციო კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

1. ზოგადი ინფორმაცია.....10
2. ახალი ფასსე-ბის მიღება 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 10
4. სააღრიცხვო პოლიტიკა 11
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა.....19
6. ფული და ფულის ექვივალენტები.....23
7. სესხის პორტფელი.....24
8. მიმდინარე საგადასახადო აქტივები.....27
9. გასაყიდად გამიზნული აქტივები.....27
10. სხვა მიმდინარე აქტივები.....27
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 28
12. გადავადებული საგადასახადო აქტივი.....29
13. კრედიტორული დავალიანება.....30
14. მიღებული სესხები 30
15. სააქციო კაპიტალი 30
16. შემოსავლები.....31
17. საპროცენტო ხარჯი 31
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 32
19. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი.....32
20. გაუთვალისწინებელი ხარჯი.....33
21. კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 33
22. შემოსავალი მიღებული გრანტიდან.....33
23. მოგების გადასახადის ხარჯი.....33
24. შემოსავალი აქციაზე.....34
25. დაკავშირებული მხარეები 34
26. პოტენციური ვალდებულებები.....35
27. საქმიანობის უწყვეტობა.....35

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ერთმანეთისაგან განასხვავოს მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობები, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს“ (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთ აღნიშნული წლის ბოლოსათვის, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2013 წლის 13 მაისი დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ი. არდემანაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ე. ნანოშვილი

ტელ: +995 32 2 711 999
ფაქსი: +995 32 2 922 900
info@akhvlediani.ge
www.akhvlediani.ge

შპს "ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგი"
ანტონოვსკაიას ქ. #8
0186 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს" აქციონერთათვის

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ **სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს"** (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს პირობითი დასკვნის გასაცემად.

პირობის საფუძველი

ორგანიზაციას 2011 წლიდან დღემდე არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების არსებობისა და სრულის შესახებ სხვა ალტერნატიული პროცედურებით.

ასევე, როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაშია მითითებული, ორგანიზაციას არ მოუხდენია მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გაუფასურების ტესტირების ჩატარება ბასს 36 – „აქტივების გაუფასურების" მიხედვით. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ზემოაღნიშნულის ეფექტი მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახვლედიანი
აუდიტ კონსალტინგი

პირობითი დასკვნა

ჩვენი აზრით, გარდა ზემოთხსენებული პირობებისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს **სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს“** ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი, აუდიტორი: /ზ. ახვლედიანი/

დირექტორის მოადგილე, აუდიტორი: /ნ. ცქიმანაური/

ექსპერტ-ფინანსისტი: /ი. ჩოფლიანი/

შპს „ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგი“

თარიღი 13 მარტი, 2013

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	2012	2011
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	558 530	679 841
მთლიანი სესხის პორტფელი	8	5 286 668	6 815 973
სესხის დანაკარგების ანარიცხები	8	(594 766)	(520 563)
წმინდა სესხის პორტფელი	8	**4 691 902**	**6 295 410**
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	9	108 597	116 610
გასაყიდად გამიზნული აქტივები	10	52 532	37 181
სხვა მიმდინარე აქტივები	11	20 665	77 023
		5 432 226	**7 206 065**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები	12	210 049	225 493
გადავადებული საგადასახადო აქტივი	13	282 100	53 715
		492 149	**279 208**
		5 924 375	**7 485 273**
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	14	5 803	13 782
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15	325 941	164 155
გადასახდელი პროცენტები	15	29 821	35 048
		361 565	**212 985**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	15	2 118 613	2 462 318
		2 118 613	**2 462 318**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	3 671 370	3 671 370
გაუნაწილებელი მოგება		(227 173)	1 138 600
		3 444 197	**4 809 970**
		5 924 375	**7 485 273**

გენერალური დირექტორი _____ ი. არდემანაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ე. ნანოშვილი

10 - 35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	2012	2011
საპროცენტო შემოსავალი	16	1 403 697	1 597 595
ფინანსური მომსახურების საკომისიო	16	74 908	157 098
შემოსავალი ჯარიმებიდან	16	93 515	41 847
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	7	(75 323)	(42 142)
საპროცენტო ხარჯები	17	(171 675)	(88 669)
საერთო მოგება		**1 325 122**	**1 665 729**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(879 083)	(1 152 175)
სხვა (ხარჯი)/შემოსავალი	19	(9 114)	37 037
გაუთვალისწინებელი ხარჯი	20	(2 000 000)	-
კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	21	(31 083)	(215 366)
შემოსავალი მიღებული გრანტიდან	22	-	30 642
მოგება დაბეგვრამდე		**(1 594 158)**	**365 867**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი	23	**228 385**	**(65 856)**
წმინდა მოგება		**(1 365 773)**	**300 011**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		**(1 365 773)**	**300 011**

გენერალური დირექტორი _____ ი. არდემანაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ე. ნანოშვილი

10 - 35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგება სააქციო კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის	**3 671 370**	**838 589**	**4 509 959**
წმინდა მოგება	-	300 011	**300 011**
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის	**3 671 370**	**1 138 600**	**4 809 970**
წმინდა მოგება	-	(1 365 773)	**(1 365 773)**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**3 671 370**	**(227 173)**	**3 444 197**

გენერალური დირექტორი _____ ი. არდემანაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ე. ნანოშვილი

10 - 35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	2012	2011
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(1 594 158)	365 867
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	52 164	59 835
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	75 323	42 142
საპროცენტო ხარჯი	171 675	88 669
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(2 779)	(2 709)
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	31 083	215 366
(მოგება)/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**(1 266 692)**	**769 170**
კლება/(ზრდა):		
სესხების პორტფელი	1 677 414	(656 772)
კრედიტორული დავალიანება	(13 204)	(212 570)
დებიტორული დავალიანება	(163 921)	(163 829)
ცვლილებები მიმდინარე აქტივებში	(24 751)	(107 343)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**208 846**	**(371 344)**
გადახდილი მოგების გადასახადი	(71 000)	(178 178)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**137 846**	**(549 522)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(44 541)	(33 913)
ძირითადი საშუალებების გასვლა	31 907	10 033
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(12 634)**	**(23 880)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	2 000 000	702 864
სესხის დაფარვა	(2 246 523)	(123 801)
შემოსავალი მიღებული გრანტიდან	-	30 642
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(246 523)**	**609 705**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	(121 311)	36 303
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	679 841	643 538
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	**558 530**	**679 841**

გენერალური დირექტორი _____ ი. არდემანაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ე. ნანოშვილი

10 - 35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“ (სს მისო „ფინაგრო“) დაფუძნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ 2007 წლის 15 ნოემბერს. ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3 671 370 ლარს, ხოლო აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

საწესდებო კაპიტალი 3 671 370 ლარი დანაწევრებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციებად. ყოველი ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია ერთი ხმის უფლება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო ქ. გორი, მშვიდობის გამზირი #1 ა.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. თითოეული ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს“ სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით.

ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს და ფინანსური დახმარება გაუწიოს უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო რეგიონებში მოღვაწე ფერმერებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები.

ორგანიზაციას აქვს სათაო ოფისი (გორი) და ოთხი რეგიონალური ფილიალი (თელავი, წნორი, მარნეული, ზესტაფონი).

2. ახალი ფასსე-ბის მიღება

ა) 2011 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2011 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში პირველად მყოფ არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და შესწორებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში

2011 წლის პირველი იანვრის შემდგომ დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში მყოფი და ადრე მიღებული არცერთი ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული

მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილი ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასების სისწორის

შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** ფასს-ების მიხედვით , ორგანიზაცია აღიარებს პირობით ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი ოპერაციის შედეგად არსებობს მიმდინარე ვალდებულება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოდან გასვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება განიმარტოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ამ სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება სასამართლო დავების შემთხვევაში მოითხოვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგან სხვადასხვა ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების განსაზღვრას, რომლებიც სცილდება მათი კონტროლის გარემოს ფარგლებს. ორგანიზაცია განიხილავს მნიშვნელოვან სასამართლო დავებს პროცესის წარმოების პარალელურად და მასთან კავშირში და ასევე განიხილავს მათ თითოეული ბალანსის შედგენის თარიღისათვის, რათა შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვების შექმნის აუცილებლობა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განხილულ უნდა იქნას რეზერვებთან დაკავშირებით, წარმოადგენს სასამართლო პროცესის ხასიათი, დავა ან ქონებრივი შეფასება, მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, სასამართლო პროცესი (მოიცავს პროცესს ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე), იურისტების შეხედულებები და აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოცდილება მსგავსს საკითხებში, ასევე ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სასამართლო პროცესის, დავის ან ქონებრივი შეფასების შემთხვევაში.

- **მოგების გადასახადი.** ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ორგანიზაცია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ორგანიზაციას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი. ორგანიზაციას სჯერა, რომ ყველა საანგარიშო პერიოდისათვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს. და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ, საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ების) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ევროკავშირის მიერ.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა პერიოდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ლარებში საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. ზემოთ მოყვანილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ორგანიზაციის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი წესით კორექტირებულია, ფასს-ის სამართლიანი წარდგენისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია ისტორიული ღირებულება. საანგარიშო პერიოდი ორგანიზაციისათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში - იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ-19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს 21 და ბასს 29-ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრული, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ის „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

ჰიპერინფლაციის გავლენა

ბასს 29 „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციის პირობებში“ არ ადგენს აბსოლუტურ კრიტერიუმებს ჰიპერინფლაციური ეკონომიკის განსაზღვრისათვის. ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს ბოლო სამი წლის მანძილზე ინფლაციის კუმულაციური ინდექსის 100%-ანი დონის მიღწევა. ბოლო წლებში საქართველოში არსებული ინფლაციის ინდექსები მოცემულია ცხრილში:

პერიოდი	ინფლაციის ინდექსი
2011	2
2012	-1.4

ფინანსური ანგარიშგების ბასს 29-ის შესაბამისად მომზადების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ორგანიზაცია არ თვლის საანგარიშო პერიოდისათვის საქართველოს ეკონომიკას ჰიპერინფლაციურად და არ აწარმოებს საკუთარი ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას სამომხმარებლო ფასების ოდენობის შესაბამისად, მისი შედგენის თარიღისათვის.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	USD	**EUR**	**GBP**
კურსი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის	1.6703	2.1614	2.5776
კურსი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	1.6567	2.1825	2.6653
საშუალო კურსი 2011 წლისათვის	1.6860	2.3473	2.7029
საშუალო კურსი 2012 წლისათვის	1.6513	2.1232	2.6169

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია გაცემული სესხების და დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების ან ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ თანხებს შორის ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს და ხასიათდებიან ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხების და მოთხოვნების კატეგორია არ მოიცავს:

I. აქტივებს, რომელთა გაყიდვაც საწარმოს განსაზღვრული აქვს დაუყოვნებლივ, ან ახლო მომავალში, და რომლებიც უნდა დაკლასიფიცირდეს როგორც გასაყიდად გამიზნული, და რომელთა საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აფასებს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
II. აქტივებს, რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს;
III. აქტივებს, რომელთა მფლობელებსაც არ შეუძლიათ ფაქტიურად დაფარონ მთელი მათი საწყისი ინვესტიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია საკრედიტო პირობების გაუარესების გამო, და რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იყოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, თუ ორგანიზაცია ხდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული საკონტრაქტო პირობების მონაწილე; ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ორგანიზაცია ახდენს ფინანსური აქტივის გადაცემას, და ეს გადაცემა კლასიფიცირდება, როგორც აქტივის აღიარების შეწყვეტა.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაციის გაცემული სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით, რომლისთვისაც გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, და რომელიც მცირდება გაუფასურებისა და დაუბრუნებელი თანხების ანარიცხებით.

გაცემული სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის, რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდება სესხისა და მოთხოვნების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები

ყოველ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია აფასებს, არის თუ არა რაიმე მინიშნება სესხის ან მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით. გაუფასურების რაიმე მინიშნების შემთხვევაში, ორგანიზაცია განსაზღვრავს გაუფასურების ზარალის ოდენობას. სესხებზე და მოთხოვნებზე რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, გაუფასურების ზარალის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოყენებული იყო საწყისი აღიარების დროს) დისკონტირებულ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (არ შედის მომავალი საკრედიტო დანახარჯები,

რომლებიც ჯერ არ წარმოშობილა). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. თუ მიმდინარე პერიოდში გადაფასების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად იქნება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომ მოვლენასთან (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი კომპენსირდება ანარიცხის ანგარიშის კორექტირებით. კომპენსირების თანხა არ შევა აქტივის საბალანსო ღირებულებაში იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ამორტიზებადი ღირებულება იქნებოდა, გაუფასურება რო არ მომხდარიყო აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირების დღეს. კომპენსირების თანხა აღიარდება მოგება-ზარალში.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები ბალანსში წარმოადგენს სესხების მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებას, რომელიც ეფუძნება CGAP-ის (ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი) სტანდარტებს. რომელიც მსოფლიო მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოს მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში, და ასევე სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანალიზს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც ტარდება ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ.

მენეჯმენტი ქმნის გაცემული სესხების დანაკარგებთან დაკავშირებულ ანარიცხებს თვიურ, კვარტალურ და წლიურ საფუძველზე იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური ანარიცხები საეჭვო სესხებისთვის.

სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები იქმნება გადაუხდელი თანხების დაგვიანების (ხანდაზმულობის) მიხედვით. ისინი ჯგუფდება ბოლო გადახდების მიხედვით. სესხი წარმოადგენს დაგვიანებულს, თუ მისი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღი გასულია. წინასწარ განსაზღვრული დანაკარგების ანარიცხების პროცენტი გაიანგარიშება მენეჯმენტის მიერ ბოლოდროინდელ სესხებთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით, გაცემული სესხების სავარაუდო დანაკარგების ანარიცხები შემდეგია:

კლასიფიკაცია	**ანარიცხის განაკვეთი**
მიმდინარე	0.5%
1-30 დღის ვადაგადაცილებით	15%
31-60 დღის ვადაგადაცილებით	30%
61-90 დღის ვადაგადაცილებით	50%
91-180 დღის ვადაგადაცილებით	75%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	100%
რესტრუქტურიზებული	20%

ანარიცხები იქმნება დაგვიანებული გადახდების მთლიან სესხების პორტფელზე და არა მხოლოდ დაგვიანებულ გადახდებზე.

სესხების ჩამოწერის პოლიტიკა

სს მისო „ფინაგრო“ სესხებს ჩამოწერს შემდეგ შემთხვევებში:

- ბიზნესის მფლობელი გარდაიცვალა ბიზნესმა არსებობა შეწყვიტა;
- სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას;
- 180 დღეზე მეტ ვადაგადაცილებულ სესხებზე

თუ სესხი 180 დღეზე მეტი ხნით არის გადაცილებული სასურველია მოხდეს მისი მთლიანად ჩამოწერა, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილებას სესხის ჩამოწერაზე იღებს მენეჯმენტი. ჩამოწერილი სესხები გამოიქვითება სესხის პორტფელის ნაშთიდან, ამ მოცულობით შემცირდება ასევე სესხების დანაკარგების ანარიცხებიც.

ვადაგადაცილებული სესხების რესტრუქტურიზაცია

„ფინაგროს“ ძირითადი პოლიტიკის მიხედვით, სესხის რესტრუქტურიზება ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ერთადერთი მისაღები წინაპირობა სესხის რესტრუქტურიზებისთვის არის მსესხებლისგან დამოუკიდებელი ისეთი გარეშე ფაქტორების არსებობა, რომლებიც მძიმე ზეგავლენას ახდენენ მსესხებლის ძირითად საქმიანობაზე, რომლიდან მიღებული შემოსავლებიც თავის მხრივ, სესხის გასტუმრების უპირველესი წყაროა. რესტრუქტურიზება გამოყენებული უნდა იყოს, როგორც უკანასკნელი საშუალება; რესტრუქტურიზაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ზოგადი წესები:

- დავალიანების (მინიმუმ პროცენტის თანხის) ნაწილობრივი გადახდის არსებობა;
- პოზიტიური საკრედიტო ისტორია „ფინაგროსთან“ ან სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან წარსული ურთიერთობებისას;
- სესხის თანხების პროექტის მიხედვით მიზნობრივი გამოყენება და ზოგადად სესხის პირობების დაკმაყოფილება;
- სესხით დაფინანსებულ საქმიანობაზე ისეთი გარეშე ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენა, რომელთა კონტროლი მსესხებლის ძალებს აღემატებოდა (გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა, ხანძარი,
- საომარი სიტუაციები, მოუსავლიანობა, წარმოებული პროდუქციის დროულად გაყიდვის შეუძლებლობა, მსესხებლის მძიმე ავადმყოფობა ან სიკვდილი, არსებობს შემოსავლის მიღების ალტერნატიული წყაროები და მსესხებელი თანახმაა თანამშრომლობაზე.

სესხის რესტრუქტურიზება შეძლება მოხდეს მაქსიმუმ ორჯერ, საპროექტო ციკლის მაქსიმალური ვადით.

ინსაიდერებზე გაცემული სესხები

ორგანიზაცია დაარსების დღიდან გასცემს სესხებს ინსაიდერებზე. ინსაიდერებზე სესხები გაცემულია ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სასესხო პოლიტიკის შესაბამისად. სტანდარტული პირობები ინსაიდერულ სესხებზე შემდეგია:

სესხის თანხა	პროცენტი	ვადა	საკომისიო	მინიმალური სამუშაო გამოცდილება	მინიმალური უზრუნველყოფა
12 თვის სახელფასო ლიმიტის 50%	16%-20%	1-24 თვე	0%	არანაკლებ 12 თვე	არ არის განსაზღვრული

პროცენტების დარიცხვა დაგვიანებულ სესხებზე

სესხის პროცენტის ამოღება ხდება ყოველთვიურად სასესხო ვალდებულების თანხების მიღებიდან. 180 დღეზე მეტი ხნით დაგვიანებული სესხი, მენეჯმენტის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ, კლასიფიცირდება შეუსრულებელ სესხად და მასზე საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა წყდება. შეუსრულებელ სესხზე დარიცხული პროცენტები, რომლებიც მოიცავს ასევე ჩამოწერილ სესხებსაც, ჩამოიწერება ხარჯის სახით.

სესხის პორტფელი და მისი ხარისხი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის სესხების ვადაგადაცილების ძირითადი საზომი არის რისკის ქვეშ მდგომი ვადაგადაცილებული სესხის პორტფელის კოეფიციენტი. სესხები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად იმის მიხედვით, თუ რამდენ დღეს შეადგენს ვადაგადაცილება სესხების თითოეული კლასისთვის, სესხის პორტფელი შედგება სესხის ძირის, მისაღები სარგებლისა და ჯარიმისგან. გადაუხდელი სესხების ძირითადი თანხა იყოფა გადაუხდელი სესხების ძირითადი თანხის მთლიან ჯამზე (აღნიშნული თანხა იანგარიშება სესხების დანაკარგების ანარიცხების გამოქვითვამდე).

სესხები მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, ტუ მათი გადახდის ვადა დამდგარია, მაგრამ არ არის გადახდილი. სესხის გადასახდელებიდან, პირველ რიგში იფარება სესხის პროცენტი შემდეგ, შემდეგ კი ძირითადი თანხა.

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა ითვლება იმ თარიღიდან, როდესაც უნდა განხორციელებულიყო ვადადამდგარი გადასახდელების გადახდა, მაგრამ მათი დაფარვა სრულად არ მომხდარა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, საწარმო აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ორგანიზაციას აქვს განუსაზღვრელი უფლება გადაავადოს ეს ვალდებულებები ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საწესდებო კაპიტალი

ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულების განსაზღვრებას. ორგანიზაციის ჩვეულებრივი აქციები წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებს.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დროებითი შეზღუდული შემოსავალი მიღებული გრანტებიდან

მიღებული გრანტი თავდაპირველად აღიარდება, როგორც შეზღუდული სახსრები (გადავადებული შემოსავალი) და ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ გრანტის გამცემის მხრიდან დადასტურების შემდეგ (სააღრიცხვო პროგრამის შეძენა), ჩამოიწერება შემოსავლებში შეუზღუდავი შემოსავლების სახით.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ორგანიზაციის ამონაგები მოიცავს გაცემული სესხებიდან მიღებულ პროცენტებს, მომსახურების საკომისიოებს (ამონაგებს ფინანსური მომსახურებიდან), ჯარიმებს და სხვა შემოსავლებს.

სესხის ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ვარირებდეს წლიური 16%-დან 40%-მდე

ყოველდღიურად, დარიცხული პროცენტების გაანგარიშება ხდება სააღრიცხვო პროგრამაში (LoanKeeper), რომელშიც ინტეგრირებულია საბუღალტრო და საკრედიტო მოდული.

პროცენტები გამოითვლება სესხის გრაფიკის მიხედვით, თითოეული სესხისთვის ცალ-ცალკე.

საპროცენტო შემოსავლის, ჯარიმების, საკომისიოების, კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული მოგების და სხვა სახის შემოსავლების აღიარებას ორგანიზაცია ახორციელებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეულ ხარჯებსა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ფინანსური ხარჯები

სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. ორგანიზაციას დამფუძნებლისგან ჰქონდა აღებული სესხი, რომელიც წინა წლებში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული იყო ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულების ჯგუფის) ამორტიზებადი ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების თუ ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალში მისაღებ ან გადასახდელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან ფულადი ნაკადები უნდა შეფასდეს ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით (მაგ: წინასწარი გადახდები, ქოლი და მსგავსი ოფციონები), მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო დანაკარგები. გამოანგარიშება აგრეთვე შეიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) კონტრაქტის მხარეებს შორის, რომლებიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყრელ ნაწილს, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ნებისმიერ წინასწარ გადახდებს, პრემიებსა თუ ფასდათმობებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შეძენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი ბალანსში აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშების გამოყენებული განაკვეთები:

ჯგუფი	%
შენობები	4%, 10% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
ავტომობილები	20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
ავეჯი და ოფისის ინვენტარი	20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
კომპიუტერები და ტექ. აღჭურვილობა	25% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
არამატერიალური აქტივები	10%, 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში

აქტივების გაუფასურება

ორგანიზაციის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ გავლენა, რომელის ძალაში შევიდა იმ საანგარიშო პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ. ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ღირებულება უნდა გადაფასდეს, როდესაც სახეზეა ამგვარი აქტივის ღირებულების შემცირების შესაძლო ნიშნები.

ბასს 36-ის მოთხოვნის თანახმად, აქტივის ღირებულება უნდა იქნას გაანგარიშებული, როგორც უდიდესი ქვემოთ მოყვანილი სიდიდეებიდან: რეალიზაციის წმინდა ღირებულება, ან აქტივის გამოყენების მომგებიანობა. რეალიზაციის წმინდა ღირებულება - ეს არის თანხა, რომელიც შეიძლება აქტივის დაუკავშირებელი მხარეებისათვის მიყიდვიდან იქნას მიღებული, რაც ხორციელდება ნორმალურ გარემოებებში გაყიდვაზე გაწეული ხარჯების დაქვითვით. მოგება აქტივის გამოყენებიდან - ეს არის აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდში მისი გამოყენებიდან ან მისი ლიკვიდაციიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ნამდვილი ღირებულება.

ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ აქტივის გამოყენების მომგებიანობის განსაზღვრისას ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს საპროგნოზო ფულადი სახსრები, რომელმაც უნდა ასახოს აქტივის მიმდინარე მდგომარეობა, და წარმოადგენდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ხარისხიან შეფასებას იმ ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის დარჩენილ ვადაში. სავარაუდო ფულადი ნაკადები აუცილებლად უნდა დისკონტირდეს იმ განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას, და ამ აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებისაგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გაანეიტრალოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული საგადასახადო აქტივის/ვალდებულების დაფარვის მომენტში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

წინა პერიოდის შეცდომები

კომპანია ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს რეტროსპექტულად ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდის შესადარისი ინფორმაციის ცვლილებით, რომელშიც დაშვებული იყო შეცდომა. ომ შემთხვევაში, თუ შეცდომა დაშვებულია წარდგენილ პერიოდზე უფრო ადრე, კომპანია მას ასწორებს ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების ცვლილებით.

	ადრე წარდგენილი	გადაანგარიშება	გაანგარიშებული
გაუნაწილებელი მოგება, 31 დეკემბერი 2010	361 418	(30 369)	331 049
გადასახდელი პროცენტი	-	30 369	30 369
გაუნაწილებელი მოგება, 31 დეკემბერი 2010	331 049	507 540	838 589
გრანტები კაპიტალში	507 540	(507 540)	-

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- სხვა საბაზრო რისკები.

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, სს მისო „ფინაგროსაც“ გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, შემდეგი სახისაა:

- ფული ბანკში;
- გაცემული სესხის პორტფელი (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გაცემული);
- კრედიტორული დავალიანება;
- მიღებული გრძელვადიანი სესხი;
- ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

ორგანიზაციის გამგეობა პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, გამგეობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ფინანსური მენეჯერი წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშებს გამგეობასა და მასთან არსებულ შესაბამის კომიტეტებს.

გამგეობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში.

სააქციო საზოგადოების ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო-ს რისკების მართვაში. ორგანიზაციისთვის საკრედიტო რისკი დგება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ სასესხო ვალდებულებებს. იმისათვის რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებას და მათ ეფექტურ მართვას.

ორგანიზაციაში წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულია საკრედიტო პოლიტიკა, სადაც საკრედიტო რისკის მართვის შემდგომი ძირითადი ეტაპებია წარმოდგენილი:

- საკრედიტო კომიტეტის საქმიანობა;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- პრობლემურ სესხებზე მუშაობა.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არ დაფინანსების შესახებ. საკრედიტო კომიტეტში შედიან ფილიალის მმართველები, საკრედიტო განყოფილების უფროსი, ფინანსური დირექტორი და მთავარი იურისტი.

ორგანიზაციაში 2012 წელს ეტაპობრივად დაინერგა ახალი სააღრიცხვო პროგრამა LoanKeeper-ი, რომელიც მუშაობს ონლაინ რეჟიმში და მოიცავს როგორც სრულ საკრედიტო, ასევე საბუღალტრო მოდულს. პროგრამაში ინტეგრირებულია სესხის კომიტეტების მოდული და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომიტეტის წევრს მინიჭებული აქვს შესაბამი უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე სესხის კომიტეტები მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში. სესხის დამტკიცება წარმოებს მხოლოდ საკრედიტო კომიტეტის მიერ. ყველა სესხი განიხილება მისო-ს სათაო ოფისში - თანხის სიდიდის მიუხედავად.

საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: თანხმობა, თანხმობა სხვადასხვა პირობებით, შეჩერება (პროექტის ახლიდან წარმოდგენის რჩევა) ან უარის თქმა.

სესხის პორტფელის მართვა ხდება დიფერენცირებული წლიური სარგებლის განაკვეთით. საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე უძრავი ქონებით, თავდებობით ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე. დაფინანსებული ბიზნესების სრულყოფილი მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა , დროულად იქნას თავიდან აცილებული ფულადი ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. ორგანიზაციაში არ არის მკაცრად განსაზღვრული მონიტორინგების ჩატარების სიხშირე.

ფინანსური დირექტორი საკრედიტო კომიტეტთან ერთად პასუხისმგებელია სესხების კლასიფიცირებაზე რისკის შეფასების სისტემის მიხედვით. საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით ხდება შესაძლო დანაკარგების ანარიცხების შექმნა: უპირველეს ყოვლისა სესხის ოფიცერს ევალება სესხის გადახდის ერთდღიან დაგვიანებაზეც კი მოახდინოს რეაგირება. ხელმძღვანელობა კი ყოველდღიურად აანალიზებს დაგვიანებული სესხების მონაცემებს და აკონტროლებს მსგავს სესხებთან მუშაობის პროცესს. დაგვიანებული სესხები კლასიფიცირებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და სარეზერვო პოლიტიკის მიხედვით ხდება მათი დარეზერვება, რათა ორგანიზაციამ საკრედიტო რისკის ეფექტი გადაანაწილოს სხვადასხვა პერიოდებზე.

სააქციო საზოგადოება მიზნად ისახავს, გაუწიოს ფინანსური დახმარება უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო რეგიონებში მოღვაწე ფერმერებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. აღნიშნული სეგმენტის საქმიანობა საკმაოდ დიდ გარე რისკებთან არის დაკავშირებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. სს მისო „ფინაგრო“ ყველა სესხს გასცემს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად, არ დგას ამ რისკის წინაშე, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად დაკარგოს დაგეგმილი მისაღები საპროცენტო სარგებლის თუნდაც რაიმე ნაწილი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. ორგანიზაცია 2007 წლიდან გასცემს სესხებს როგორც საოპერაციო ვალუტაში, ასევე აშშ დოლარში. ასე რომ, სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში.

ორგანიზაციაში ყოველთვე იმართება ხელმძღვანელობის შეხვედრები, სადაც დეტალურად განიხილება სავალუტო დისბალანსის აღმოფხვრის ღონისძიებები. დგინდება, თუ რა ვალუტაშია მიმდინარე პერიოდში მიზანშეწონილი სესხების გაცემა.

ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

2012 წლის 31 დეკემბრისათვის	**GEL**	**USD**	**EUR**	**Total**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	558 530	-	-	**558 530**
მთლიანი სესხის პორტფელი	1 264 631	4 003 389	18 648	**5 286 668**
სესხის დანაკარგების ანარიცხები	129 774	463 484	1 508	**594 766**
წმინდა სესხის პორტფელი	1 394 405	4 466 873	20 156	**5 881 434**
სულ ფინანსური აქტივები	**1 952 935**	**4 466 873**	**20 156**	**6 439 964**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	5 803	-	-	**5 803**
სესხის მიმდინარე ნაწილი	37 500	288 441	-	**325 941**
გრძელვადიანი სესხები	243 750	1 874 863	-	**2 118 613**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**287 053**	**2 163 304**	**-**	**2 450 357**
სხვაობა	**1 665 882**	**2 303 569**	**20 156**	**3 989 607**

2011 წლის 31 დეკემბრისათვის	**GEL**	**USD**	**EUR**	**Total**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	679 739	102	-	**679 841**
მთლიანი სესხის პორტფელი	1 497 070	5 287 575	31 328	**6 815 973**
სესხის დანაკარგების ანარიცხები	(64 647)	(449 062)	(6 854)	**(520 563)**
წმინდა სესხის პორტფელი	1 432 423	4 838 513	24 474	**6 295 410**
სულ ფინანსური აქტივები	**2 112 162**	**4 838 615**	**24 474**	**6 975 251**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება				
სესხის მიმდინარე ნაწილი	18 750	145 405	-	**164 155**
გრძელვადიანი სესხები	281 250	2 181 068	-	**2 462 318**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**313 782**	**2 326 473**	**-**	**2 640 255**
სხვაობა	**1 798 380**	**2 512 142**	**24 474**	**4 334 996**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საკონტრაქტო ვადებსა და პროცენტის ცვლილების მიმართ აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობიარობას:

2012 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 წლამდე**	**1 დან 3 წლამდე**	**3 წელზე მეტი**	**სულ**
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	558 530	-	-	**558 530**
მთლიანი სესხის პორტფელი	463 720	4 538 382	284 566	**5 286 668**
	1 022 250	**4 538 382**	**284 566**	**5 845 198**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	5 803	-	-	**5 803**
სესხის მიმდინარე ნაწილი	325 941	-	-	**325 941**
გრძელვადიანი სესხი	-	651 883	1 466 730	**2 118 613**
	331 744	**651 883**	**1 466 730**	**2 450 357**
ლიკვიდურობის სხვაობა	**690 506**	**3 886 499**	**(1 182 164)**	**3 394 841**
კუმულაციური ლიკვიდურობის სხვაობა	**690 506**	**4 577 005**	**3 394 841**	**3 394 841**

2011 წლის 31 დეკემბრისათვის	**1 წლამდე**	**1 დან 3 წლამდე**	**3 წელზე მეტი**	**სულ**
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	679 841	-	-	**679 841**
მთლიანი სესხის პორტფელი	858 729	5 616 389	340 855	**6 815 973**
	1 538 570	**5 616 389**	**340 855**	**7 495 814**
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	13 782	-	-	**13 782**
სესხის მიმდინარე ნაწილი	164 155	-	-	**164 155**
გრძელვადიანი სესხი	-	656 618	1 805 700	**2 462 318**
	177 937	**656 618**	**1 805 700**	**2 640 255**
ლიკვიდურობის სხვაობა	**1 360 633**	**4 959 771**	**(1 464 845)**	**4 855 559**
კუმულაციური ლიკვიდურობის სხვაობა	**1 360 633**	**6 320 404**	**4 855 559**	**4 855 559**

ორგანიზაციის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება

კაპიტალის მართვისას ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად, საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ორგანიზაცია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს და კორექტირებას უკეთებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ორგანიზაციამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 31 დეკემბრისთვის მოიცავს:

	2012	**2011**
ფული ბანკში (საქართველოს ბანკი)	444 132	27 958
ფული ბანკში (ვი-თი-ბი ბანკი)	114 241	328 382
ფული ბანკში (თი-ბი-სი ბანკი)	157	280 516
ფული ბანკში (პროკრედიტ ბანკი)	-	42 985
	558 530	**679 841**

7. სესხის პორტფელი

სესხის პორტფელი 31 დეკემბრისათვის მოიცავს:

	2012	წილი %	2011	წილი %
სესხის ძირი				
სოფლის მეურნეობა	3 718 710	81.59%	5 180 902	81.05%
მიკრო-ბიზნესს სესხი	467 587	10.26%	736 455	11.52%
სამომხმარებლო სესხები	331 282	7.27%	453 591	7.10%
სხვა	39 996	0.88%	21 262	0.33%
სულ სესხის ძირი	**4 557 575**	**100%**	**6 392 210**	**100%**
მისაღები სარგებელი და ჯარიმა				
სოფლის მეურნეობა	641 818	88.03%	352 020	83.07%
მიკრო-ბიზნესს სესხი	49 191	6.75%	52 567	12.40%
სამომხმარებლო სესხები	37 673	5.17%	19 041	4.5%
სხვა	411	0.05%	135	0.03%
სულ მისაღები სარგებელი და ჯარიმა	**729 093**	**100%**	**423 763**	**100%**
მთლიანი სესხის პორტფელი	**5 286 668**	**100%**	**6 815 973**	**100%**
პორტფელის დანაკარგის ანარიცხი	**(594 766)**	**(11.25%)**	**(520 563)**	**(7.64%)**
წმინდა სესხის პორტფელი	**4 691 902**	**88.75%**	**6 295 410**	**92.36%**

სესხების (ჩამოწერა)/აღდგენა	**2012**	**2011**
სესხის ძირის ჩამოწერა	-	(13 521)
სარგებლის ჩამოწერა	-	(5 930)
ჯარიმის ჩამოწერა	(11 457)	(37)
სესხის ძირის აღდგენა	3 892	12 166
სარგებლის აღდგენა	3 347	2 384
ჯარიმის აღდგენა	3 098	3 894
	(1 120)	**(1 044)**

ცვლილებები სესხის დანაკარგის ანარიცხებში	**2012**	**2011**
საეჭვო ვალების ანარიცხები 1 იანვრისათვის	520 563	479 465
საეჭვო ვალების ანარიცხების ხარჯი	75 323	42 142
სესხების (ჩამოწერა)/აღდგენა	(1 120)	(1 044)
საეჭვო ვალების ანარიცხები 1 იანვრისათვის	**594 766**	**520 563**

სესხის დანაკარგების გაანგარიშება 2012 წლის 31 დეკემბრისათვის

სესხის ძირი

							საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
	სოფლის მეურნეობა	**მიკრო-ბიზნეს სესხები**	**სამომხმა რებლო**	**სხვა**	**სულ**	**წილი**	**%**	**თანხა**
მიმდინარე	2 727 653	346 886	275 010	38 256	3 387 805	74.33%	0.5%	16 939
1-30 დღის ვადაგადაცილებით	274 935	7 910	5 593	-	288 438	6.33%	15%	43 266
31-60 დღის ვადაგადაცილებით	203 690	843	3 464	-	207 997	4.56%	30%	62 399
61-90 დღის ვადაგადაცილებით	97 688	45 617	5 541	-	148 846	3.27%	50%	74 423
91-180 დღის ვადაგადაცილებით	107 514	4 264	12 093	-	123 871	2.72%	75%	92 903
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	200 897	48 673	29 581	1 740	280 891	6.16%	100%	280 891
	3 612 377	**454 193**	**331 282**	**39 996**	**4 437 848**	**97.37%**		**570 821**
რესტრუქტურიზი რებული								
მიმდინარე	106 333	13 394	-	-	119 727	2.6%	20%	23 945
	106 333	**13 394**	**-**	**-**	**119 727**	**2.6%**		**23 945**
სულ	**3 718 710**	**467 587**	**331 282**	**39 996**	**4 557 575**	**100%**		**594 766**

სესხის დანაკარგების გაანგარიშება 2011 წლის 31 დეკემბრისათვის

სესხის ძირი

							საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
	სოფლის მეურნეობა	**მიკრო-ბიზნეს სესხები**	**სამომხმა რებლო**	**სხვა**	**სულ**	**წილი**	**%**	**თანხა**
მიმდინარე	4 591 950	635 752	435 854	8 638	5 672 194	88.7%	0.5%	28 361
1-30 დღის ვადაგადაცილებით	60 525	6 676	6 134	-	73 335	1.1%	15%	11 000
31-60 დღის ვადაგადაცილებით	28 286	6 354	1 198	-	35 838	0.6%	30%	10 751
61-90 დღის ვადაგადაცილებით	116 393	5 769	9 582	-	131 744	2.1%	50%	65 872

							საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
	სოფლის მეურნეობა	მიკრო-ბიზნეს სესხები	სამომხმარებლო	სხვა	სულ	წილი	%	თანხა
91-180 დღის ვადაგადაცილებით	32 066	7 697	-	-	39 763	0.6%	75%	29 822
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	151 948	35 170	823	1 740	189 681	3.0%	100%	189 681
	4 981 168	**697 418**	**453 591**	**10 378**	**6 142 555**	**96.1%**		**335 487**
რესტრუქტურიზირებული								
მიმდინარე	199 734	39 037	-	10 884	249 655	3.9%	20%	49 931
	199 734	**39 037**	**-**	**10 884**	**249 655**	3.9%		**49 931**
სულ	**5 180 902**	**736 455**	**453 591**	**21 262**	**6 392 210**	**100%**		**385 418**

მისაღები სარგებელი და ჯარიმა							საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
	სოფლის მეურნეობა	მიკრო-ბიზნეს სესხები	სამომხმარებლო	სხვა	სულ	წილი	%	თანხა
მიმდინარე	148 947	36 066	18 241	99	203 353	47.99%	0.5%	1 017
1-30 დღის ვადაგადაცილებით	2 851	90	182	-	3 123	0.74%	15%	468
31-60 დღის ვადაგადაცილებით	6 859	410	104	-	7 373	1.74%	30%	2 212
61-90 დღის ვადაგადაცილებით	52 633	376	439	-	53 448	12.61%	50%	26 724
91-180 დღის ვადაგადაცილებით	4 767	1 520	-	-	6 287	1.48%	75%	4 715
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	79 112	8 280	75	-	87 467	20.64%	100%	87 467
	295 169	**46 742**	**19 041**	**99**	**361 051**	**85.2%**		**122 603**
რესტრუქტურიზირებული								
მიმდინარე	56 851	5 825	-	36	62 712	14.8%	20%	12 542
	56 851	**5 825**	**-**	**36**	**62 712**	14.8%		**12 542**
სულ	**352 020**	**52 567**	**19 041**	**135**	**423 763**	**100%**		**135 145**

ინფორმაცია სესხების უზრუნველყოფის შესახებ 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2012	2011
უზრუნველყოფილი სესხები:		
უძრავი ქონებით	5 141 379	6 409 800
აღჭურვილობა დანადგარებით	1 804 222	2 249 339
ოქროთი	105 748	152 102
თავდებობით	742 100	969 052
	7 793 449	**9 780 293**

8. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2012	2011
მოგების გადასახადის აქტივი	107 087	113 793
ქონების გადასახადის აქტივი	239	2 817
საშემოსავლო გადასახადის აქტივი	1 271	-
	108 597	**116 610**

9. გასაყიდად გამიზნული აქტივები

ორგანიზაციის გასაყიდად გამიზნული აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს გირაოში დარჩენილ უძრავ ქონებას. ორგანიზაცია გეგმავს მათ გაყიდვას აუქციონზე.

	2012	2011
უძრავი ქონება	52 532	37 181

10. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	2012	2011
შპს „დოლფინ სოფტვეარის“-თვის ავანსად გადახდილი თანხა	13 051	61 285
საკრედიტო და სოციალური რეიტინგისათვის ავანსად გადახდილი თანხა	-	13 289
ძირითადი საშუალების გასვლიდან მისაღები თანხა	-	2 098
აუდიტისათვის ავანსად გადახდილი თანხა	7 500	-
სხვა ავანსები	114	351
	20 665	**77 023**

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	*შენობა-ნაგებობები*	*კომპიუტერები და სხვა ტექ. აღჭურვილობა*	*ავეჯი და ოფისის ინვენტარი*	*სატრანსპორტო საშუალებები*	*არამატერიალური აქტივი*	*სხვა*	*ჯამი*
ისტორიული ღირებულება 31.12.2010	**92 420**	**56 267**	**38 408**	**178 793**	**3 169**	2 874	**371 931**
შემოსვლა	-	12 200	4 797	16 900	-	15	33 913
გასვლა	-	(786)	(1 982)	(7 200)	-	(65)	(10 033)
ისტორიული ღირებულება 31.12.2011	**92 420**	**67 682**	**41 223**	**188 493**	**3 169**	**2 824**	**395 811**
შემოსვლა	-	797	447	-	43 126	170	44 541
გასვლა	-	-	-	(31 907)	-	-	(31 907)
ისტორიული ღირებულება 31.12.2012	**92 420**	**68 479**	**41 670**	**156 586**	**46 295**	**2 994**	**408 444**
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 31.12.2010	**(17 139)**	**(24 731)**	**(16 886)**	**(55 152)**	**(1 284)**	(110)	**(115 301)**
ცვეთა 2011	(6 087)	(15 071)	(8 212)	(29 256)	(634)	(576)	(59 835)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა 2011	-	272	538	3 991	-	18	4 819
დაგროვილი ცვეთა 31.12.2011	**(23 226)**	**(39 530)**	**(24 559)**	**(80 417)**	**(1 918)**	**(668)**	**(170 317)**
ცვეთა 2012	(6 087)	(9 547)	(5 015)	(27 301)	(3 600)	(613)	(52 164)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა 2012	-	-	-	24 086	-	-	24 086
დაგროვილი ცვეთა 31.12.2012	**(29 313)**	**(49 076)**	**(29 574)**	**(83 632)**	**(5 518)**	**(1 281)**	**(198 395)**
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 31.12.2011	**69 194**	**28 152**	**16 665**	**108 076**	**1 251**	**2 156**	**225 493**
საბალანსო ღირებულება 31.12.2012	**63 107**	**19 403**	**12 096**	**72 954**	**40 777**	**1 712**	**210 049**

ორგანიზაციას 2011 წლიდან დღემდე არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, არ ჩაუტარებია ასევე ძირითადი საშუალებების ტესტი გაუფასურებაზე.

36-ე სტანდარტის - „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, ორგანიზაციამ ყოველ საანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა მოახდინოს აქტივების გაუფასურებაზე მოქმედი ინდიკატორების ტესტირება.

12. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებულ საგადასახადო აქტივებთან დაკავშირებით აღიარებული აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში	ცვლილება კაპიტალში
	2012	***2012***	***2012***	***2012***	***2012***
ძირითადი საშუალებები	-	(17 988)	(17 988)	6 381	-
წმინდა სესხის პორტფელი	80 330	-	80 330	2 245	-
გადავადებული ზარალი	219 758	-	219 758	219 758	
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	300 088	(17 988)	282 100	228 385	-
ურთიერთგადაფარვა	(17 988)	17 988	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	**282 100**	**-**	**282 100**	**228 385**	**-**

	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში	ცვლილება კაპიტალში
	2011	***2011***	***2011***	***2011***	***2011***
ძირითადი საშუალებები	-	(24 370)	(24 370)	(930)	-
წმინდა სესხის პორტფელი	78 085	-	78 085	6 165	-
გადავადებული ზარალი	-	-	-	-	-
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	78 085	(24 370)	53 715	5 235	-
ურთიერთგადაფარვა	(24 370)	24 370	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	**53 715**	**-**	**53 715**	**5 235**	**-**

	2012	**2011**
1 იანვრისათვის	53 715	48 480
მოგებასა და ზარალში აღიარება	-	-
საგადასახადო ხარჯი/(შემოსავალი)	228 385	5 235
სხვა სრულ შემოსავალში აღიარება	-	-
31 დეკემბრისათვის	**282 100**	**53 715**

13. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2012	2011
გადასახდელი კომუნალური გადასახადები	1 036	1 134
გადასახდელი საკომუნიკაციო გადასახადები	2 051	1 667
გადასახდელი ოფისის ქირა	-	7 800
დავალიანება „კრედიტინფოს“ მიმართ	1 466	1 183
გადასახდელი მანქანის იჯარა	1 250	183
გადასახდელი დაზღვევის გადასახადი	-	1 716
ზედმეტად ჩარიცხული თანხები	-	99
	5 803	**13 782**

14. მიღებული სესხები

სესხის მიმდინარე ნაწილი	ვალუტა	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	2012	2011
ფინანსთა სამინისტრო	USD	26.აპრ.2020	LIBOR + 2%	288 441	145 405
ფინანსთა სამინისტრო	GEL	26.აპრ.2020	შიდა ინფლაციას + 2.5%	37 500	18 750
				325 941	**164 155**

გრძელვადიანი სესხი	ვალუტა	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	2012	2011
ფინანსთა სამინისტრო	USD	26.აპრ.2020	LIBOR + 2%	1 874 863	2 181 068
ფინანსთა სამინისტრო	GEL	26.აპრ.2020	შიდა ინფლაციას + 2.5%	243 750	281 250
				2 118 613	**2 462 318**

გადასახდელი პროცენტი	ვალუტა	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	2012	2011
ფინანსთა სამინისტრო	USD	26.აპრ.2020	LIBOR + 2%	23 854	22 760
ფინანსთა სამინისტრო	GEL	26.აპრ.2020	შიდა ინფლაციას + 2.5%	5 967	12 288
				29 821	**35 048**

15. სააქციო კაპიტალი

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი მოიცავს:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	წილი %	ნომინალი	კაპიტალი (ლარი)
სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი	3 671 370	100%	1	3 671 370

16. შემოსავლები

საპროცენტო შემოსავალი

სესხის ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი ძირითადად მერყეობს 16%-დან 38%-მდე. საპროცენტო შემოსავალი სესხის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2012	2011
სოფლის მეურნეობა	1 175 334	1 299 541
მიკრო-ბიზნესს სესხი	125 689	181 053
სამომხმარებლო სესხები	101 005	114 787
სხვა	1 669	2 214
	1 403 697	**1 597 595**

ფინანსური მომსახურების საკომისიო

ფინანსური მომსახურების საკომისიო მოიცავს მსესხებლების მიერ სესხის აღების დროს გადახდილ საკომისიოებს (გაცემული სესხის 1% - 2.5%).

	2012	2011
სოფლის მეურნეობა	60 210	125 107
მიკრო-ბიზნესს სესხი	6 478	17 657
სამომხმარებლო სესხები	7 353	14 104
სხვა	867	230
	74 908	**157 098**

შემოსავალი ჯარიმიდან

ჯარიმები გამოითვლება სესხის ძირის თანხიდან და შეადგენს მის 0.05%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე.

	2012	2011
სოფლის მეურნეობა	76 986	26 228
მიკრო-ბიზნესს სესხი	7 874	8 172
სამომხმარებლო სესხები	8 652	7 184
სხვა	3	263
	93 515	**41 847**

17. საპროცენტო ხარჯი

ორგანიზაციის საპროცენტო ხარჯები 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

	2012	2011
ფინანსთა სამინისტრო	(78 126)	(78 964)
თიბისი ბანკი	(93 549)	-
საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი (სსმგფ)	-	(9 705)
	(171 675)	**(88 669)**

ორგანიზაციამ 2012 წლის 2 თებერვალს თიბისი ბანკიდან აიღო სესხი 2 000 000 მილიონი ლარის ოდენობით, რომლის დაფარვაც დასრულდა იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს, ზემოთხსენებულ სესხის მიღებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღწერილია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შენიშვნებში სახელწოდებით - „სესხის მიღება-მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები“.

ორგანიზაციას დამფუძნებლისგან (საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი) 2007 წელს აღებული ჰქონდა სესხი 53 028 ლარის ოდენობით. 2011 წლის 30 ნოემბერს ორგანიზაციამ სრულად დაფარა ვალდებულება და დამფუძნებლის გადაწყვეტილებით ეპატია ზემოთ აღნიშნულ თარიღამდე დარიცხული პროცენტი. არსებული საპროცენტო დავალიანება სრულად აღიარებულია სს მისო „ფინაგრო“-ს შემოსავალში. იხ. შენიშვნა #19, პუნქტი სახელწოდებით - „შემოსავალში აღიარებული გადაუხდელი პროცენტები“

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ორგანიზაციის ადმინისტრაციული დანახარჯები 31 დეკემბრისათვის მოიცავს:

	2012	**2011**
შრომის ანაზღაურება	(540 753)	(844 118)
დაზღვევა	(19 581)	(7 587)
საწვავის ხარჯი	(85 103)	(92 837)
საკომუნიკაციო ხარჯი	(28 405)	(25 113)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(52 164)	(59 835)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(9 249)	(10 401)
ოფისის ინვენტარის ხარჯი	(1 769)	(2 023)
საკანცელარიო ხარჯი	(3 410)	(5 209)
საგადასახადო ხარჯი	(2 753)	(3 209)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(18 661)	(17 168)
არამატერიალური აქტივის ლიცენზიის ხარჯი	(5 107)	-
საკრედიტო და სოციალური რეიტინგის ხარჯი	(27 946)	-
ოფისების იჯარა	(19 054)	(27 054)
მანქანების იჯარა	(4 400)	(4 833)
მიღებული სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(20 546)	-
ორგანიზაციების წევრობის გადასახადი	(17 269)	(16 166)
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები	-	(19 500)
დაცვის ხარჯი	(7 175)	(7 322)
ბანკის საკომისიო	(5 295)	(4 201)
სხვა საექსპლუატაციო ხარჯები	(10 443)	(5 599)
	(879 083)	**(1 152 175)**

19. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი

ორგანიზაციის სხვა (ხარჯი)/შემოსავალი 31 დეკემბრისათვის, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2012	**2011**
წარმომადგენლობითი ხარჯი	(794)	(297)
მოგება (ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან	2 779	2 709
შემოსავალი გასაყიდად გამიზნული აქტივების გასვლიდან	1 450	-

	2012	2011
სასამართლო და სააღსრულებლო ხარჯების აღდგენა	10 914	7 834
შემოსავალში აღიარებული გადაუხდელი პროცენტები	-	40 074
სასამართლო და სააღსრულებლო ხარჯები	(23 363)	(13 282)
გადახდილი ჯარიმები	(100)	(1)
	(9 114)	**37 037**

20. გაუთვალისწინებელი ხარჯი

აღნიშნული გაუთვალისწინებელი ხარჯი ორგანიზაციას წარმოეშვა 2012 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში არსებული არაჯანსაღი პოლიტიკური გარემოს ზეგავლენით. ზემოთხსენებულ ხარჯთან დაკავშირებული საქმე გასაჩივრებულია ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ.

21. კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

უცხოური ვალუტის კურსის ცვალებადობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის შეადგენს:

	2012	2011
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(290 010)	(858 344)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება	258 927	642 978
	(31 083)	**(215 366)**

22. შემოსავალი მიღებული გრანტიდან

2011 წლის ნოემბერში ორგანიზაციამ მიიღო გრანტი „Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH“-გან. საგრანტო ხელშეკრულების თანახმად ორგანიზაციას უნდა შეეძინა ახალი საღრიცხვო პროგრამა. ორგანიზაციამ იმავე წელს შეასრულა ზემოთ ხსენებული ვალდებულება და მთლიანი გრანტის თანხა - 30 642 ლარი აღიარა შემოსავლად.

23. მოგების გადასახადის ხარჯი

ორგანიზაციის მოგების გადასახადის ხარჯი 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012	2011
მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით	-	(71 091)
გადავადებული მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით	228 385	5 235
მოგების გადასახადთან დაკავშირებული ხარჯები	**228 385**	**(65 856)**

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის მოქმედთან შეთანხმება

	2012	2011
მოგება დაბეგვრამდე	(1 594 158)	365 867
მოგების გადასახადის პროცენტი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	239 124	(54 880)
მუდმივი სხვაობა	(10 739)	(10 976)
მოგების გადასახადის ხარჯი	**228 385**	**(65 856)**

24. შემოსავალი აქციაზე

(ა) ძირითადი შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ორგანიზაციის დამფუძნებლების კუთვნილი მოგების გაყოფით გამოშვებული აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობასთან, ორგანიზაციის მიერ შეძენილი ჩვეულებრივი აქციების გამოკლებით.

	2012	**2011**
ორგანიზაციის დამფუძნებლების კუთვნილი მოგება/ზარალი	(1 365 773)	300 011
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	3 671 370	3 671 370
ძირითადი შემოსავალი ერთ აქციაზე	**(0.37)**	**0.08**

(ბ) გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება ჩვეულებრივი აქციების შესწორებული საშუალო შეწონილი რაოდენობის მიხედვით, რათა მოხდეს ჩვეულებრივ აქციებად კონვერტირების ყველა პოტენციური სიტუაციის გათვალისწინება.

იმდენად რამდენადაც ორგანიზაციას არ გააჩნია კონვერტირებადი წილობრივი ინსტრუმენტები, გაზავებული და ძირითადი შემოსავალი ერთ აქციაზე ერთმანეთის ტოლი იქნება.

25. დაკავშირებული მხარეები

31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ინსაიდერული სესხები

საბალანსო მუხლი	**კავშირი კლიენტთან**	**2012**	**2011**
სესხის მიმდინარე ნაწილი			
ანდრია საგანელიძე	საკრედიტო ოფიცერი	3 600	4 000
გია მურადოვი	სხვა	1 269	1 346
გიორგი მამაცაშვილი	საკრედიტო ოფიცერი	-	1 651
გიორგი ელკანიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	169	2 453
ზვიად ხაჩიშვილი	IT სპეციალისტი	1 179	2 721
ემზარ ნანოშვილი	ფინანსური მენეჯერი	-	2 117
ზურაბ ლომიძე	იურისტი	2 868	-
ქეთევან ხელხელაური	საკრედიტო ოფიცერი	-	782
იმედა ყაჯრიშვილი	წნორის ფილიალის დირექტორი	3 300	-
ინგა ფიცხელაური	სხვა	1 847	1 481
მაია გურგენიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	1 255	1 492
		15 487	**18 043**

საბალანსო მუხლი	**კავშირი კლიენტთან**	**2012**	**2011**
მისაღები სარგებელი			
ანდრია საგანელიძე	საკრედიტო ოფიცერი	387	4
გია მურადოვი	სხვა	3	10
გიორგი მამაცაშვილი	საკრედიტო ოფიცერი	-	4

საბალანსო მუხლი	**კავშირი კლიენტთან**	**2012**	**2011**
გიორგი ელკანიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	-	42
ზვიად ხაჩიშვილი	IT სპეციალისტი	3	20
ემზარ ნანოშვილი	ფინანსური მენეჯერი	-	2
ზურაბ ლომიძე	იურისტი	367	-
ქეთევან ხელხელაური	საკრედიტო ოფიცერი	-	6
იმედა ყაჯრიშვილი	წნორის ფილიალის დირექტორი	14	-
ინგა ფიცხელაური	სხვა	23	19
მაია გურგენიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	11	12
		808	**119**

მოგება/ზარალის მუხლი	**კავშირი კლიენტთან**	**2012**	**2011**
საპროცენტო შემოსავალი			
ანდრია საგანელიძე	საკრედიტო ოფიცერი	387	4
გია მურადოვი	სხვა	102	59
გიორგი მამაცაშვილი	საკრედიტო ოფიცერი	-	465
გიორგი ელკანიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	242	395
ზვიად ხაჩიშვილი	IT სპეციალისტი	316	166
ემზარ ნანოშვილი	ფინანსური მენეჯერი	-	120
ზურაბ ლომიძე	იურისტი	459	-
ქეთევან ხელხელაური	საკრედიტო ოფიცერი	-	255
იმედა ყაჯრიშვილი	წნორის ფილიალის დირექტორი	14	-
ინგა ფიცხელაური	სხვა	334	301
მაია გურგენიშვილი	საკრედიტო ოფიცერი	269	154
		2 123	**1 919**

26. პოტენციური ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

ორგანიზაციას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან ორგანიზაციის მომავალ ოპერაციებზე.

27. საქმიანობის უწყვეტობა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხის რაიმე კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.